

## პრეზიდენტის იმპიჩმენტი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

სტატიაში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2023 წლის 16 ოქტომბერს N3/1/1797 საქმეზე მიღებული დასკვნა „საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე“. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში იმპიჩმენტის საკითხის განხილვა პირველია და მას პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს. წინამდებარე სტატიაში განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კონტროლის მნიშვნელობის გააზრება იმპიჩმენტის საკითხზე დასკვნის მიღებისას.

სტატიაში წარმოდგენილია სასამართლოს მიერ საკითხის შეფასების ნაკლოვანების არსებითი გარემოებები. კერძოდ, განხილულია კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურობა, კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური შინაარსის, კონსტიტუციის ნორმების ფორმალური განმარტებისა და ნორმატიული შინაარსის, ფაქტების დადგენის საკითხები სასამართლოს მიერ.

მითითებულ დასკვნაზე არის სამი მოსამართლის განსხვავებული აზრი. სტატიაში ასევე აღნიშნულია ის საკითხები, რომლებსაც განსხვავებული აზრი მიუთითებს. სტატია აანალიზებს სასამართლოს დასკვნის იურიდიულ ბუნებას.

**საკვანძო სიტყვები:** პრეზიდენტის იმპიჩმენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილება, კონსტიტუციის ნორმის ნორმატიული შინაარსი, კონსტიტუციის ნორმის ავტონომიური განმარტების წესი, ფაქტების შეფასება სასამართლოს მიერ, დასკვნის იურიდიული ბუნება.

### 1. შესავალი

2023 წლის 16 ოქტომბერს N3/1/1797 საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო დასკვნა „საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე“.<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში იმპიჩმენტის საკითხის განხილვა პირველია და ამდენად მას პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს. სასამართლოს ის მიდგომები, რომელიც დასკვნაშია წარმოდგენილი, შესაძლოა, გადამწყვეტი გახდეს მომავალში თანამდებობის პირების ქმედების კონსტიტუციურობის შესაფასებლად. წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება, თუ რამდენად მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში კონსტიტუციური კონტროლის მნიშვნელობა იმპიჩმენტის საკითხზე დასკვნის მიღებისას.

იმპიჩმენტის საკითხი არის როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი მნიშვნელობის, ამდენად იურიდიულ სამართლებრივ ლიტერატურაში საკითხი ორივე პრიზმაშია გაანალიზებული. კერძოდ, აღნიშნულია, რომ იმპიჩმენტი იმ მაღალ თანამდებობის პირთა ხელისუფლებისაგან ჩამოცილების მექანიზმია, რომლებიც თავიანთი ქმედების გამო აღარ იმსახურებენ ნდობას და მიზანშეწონილი აღარ არის მათი ხელისუფლებაში დატოვება. იმპიჩმენტის პროცესის მიზანიც სწორედ იმის გარკვევაა, დაკარგა თუ არა ჩადენილი დარღვევის გამო თა-

\* სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი (2009-2019 წწ). <https://orcid.org/0009-0004-7203-9147>.

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნა.

ნამდებობის პირმა ხალხის ნდობა და შესაბამის გარემოებებში რა უფრო მიზანშეწონილია – მისი თანამდებობაზე დატოვება თუ ხელისუფლებისაგან ჩამოცილება. ამის შეფასება კი, პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებას მოითხოვს. ამდენად ის პოლიტიკური ორგანოს – პარლამენტის პრეროგატივაა.<sup>2</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, მას შემდეგ რაც იმპიჩმენტის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცემა ქმედების კონსტიტუციურობის შესაფასებლად, საკითხი იღებს სამართლებრივ მნიშვნელობას. ქართული მოდელის შემთხვევაში, იმპიჩმენტის პროცედურაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მონაწილეობა მნიშვნელოვნად ცვლის იმპიჩმენტის ხასიათს, იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრა და საბოლოო ვერდიქტის გამოტანა პარლამენტის – პოლიტიკური ორგანოს ხელში რჩება, ამდენად, იმპიჩმენტის ქართული მოდელი პოლიტიკურსამართლებრივი ინსტიტუტია.<sup>3</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის<sup>4</sup> თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადასტურებს/ან არ ადასტურებს თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევას. კონსტიტუციის მიზანია სწორედ იმ ქმედებათა კონსტიტუციურობის შეფასება, რომელიც იმპიჩმენტის აღძვრის საფუძველი გახდა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს თანამდებობის პირების იმ ქმედების ან/და სავარაუდო ქმედების შეფასებისაგან, რომელიც იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის საფუძველი არ გამხდარა. აღნიშნულს კიდევ უფრო აზუსტებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, კონსტიტუციით გათვალისწინებული პირების იმპიჩმენტის საქმის განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს მხოლოდ იმ ქმედებას, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის აღმძვრელ პარლამენტის წევრთა მიერ მიჩნეულია იმპიჩმენტის საფუძველად.<sup>5</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს დასკვნა შესაძლოა გახდეს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი განუზომელია თანამდებობის პირების ქმედების კონსტიტუციურობის შეფასებისას. ამასთან, „კონსტიტუციის განმარტების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის დაცვა, კონსტიტუციის დებულებების გააზრება მათი მიზნებისა და ღირებულებების შესაბამისად“.<sup>6</sup>

## 2. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

### 2.1. კონსტიტუციის ნორმა, რომლის დარღვევას ედავებოდნენ საქართველოს პრეზიდენტს

კონსტიტუციური წარდგინების ავტორები მიიჩნევენ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი:

<sup>2</sup> გოცირიძე ე., იმპიჩმენტის პოლიტიკური ბუნებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(44)15, 19.

<sup>3</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება იმპიჩმენტის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2/3, 45/46, 53.

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 48.

<sup>5</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხ. 26.პ.4.

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/7/667 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ტელენეტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-62.

„საქართველოს პრეზიდენტი ა) მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს“. საქმის არსებითი განხილვის პროცესში სადავო დებულებად განისაზღვრა მხოლოდ შემდეგი ჩანაწერი: „საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან...“.

## **2.2. წარდგინების ავტორები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 სექტემბერს კონსტიტუციური წარდგინებით (რეგისტრაციის №1797) მიმართეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა<sup>7</sup>. კონსტიტუციური წარდგინების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის თანხმობა საქართველოს პრეზიდენტს არა მხოლოდ საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისთვის ესაჭიროება, არამედ საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნებისმიერი ფორმით განხორციელებისათვის. №1797 კონსტიტუციური წარდგინების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე განახორციელა სამი სამუშაო ვიზიტი (2023 წლის 31 აგვისტოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან, 2023 წლის 1 სექტემბერს ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან და 2023 წლის 6 სექტემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან) და ამ ვიზიტების ფარგლებში გამართა სამუშაო შეხვედრები, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა.

## **2.3. პრეზიდენტის წარმომადგენლები**

საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პრეზიდენტს კონსტიტუცია არ დაურღვევია. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შინაარსი არ უნდა იქნეს გაგებულ იმგვარად, რომ თითქოს პრეზიდენტი სრულიად შებოჭილია მთავრობის ნების გამოვლენით და მის გარეშე ვერ იმოქმედებს საგარეო ურთიერთობებში. გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი. საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლით განსაზღვრულია პრეზიდენტის ფაქტობრივი სამართლებრივი სტატუსი, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი, საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საქართველოს პრეზიდენტს როგორც სახელმწიფოს მეთაურს, სტატუსი ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ კონსტიტუციის 49-ე მუხლისვე ფარგლებში დამოუკიდებლად, მთავრობის სპეციალური თანხმობის გარეშე წარმოადგინოს საქართველო საგარეო ურთიერთობებში (საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი). დასახელებული დებულების ფარგლებში

<sup>7</sup> ირაკლი კობახიძე, შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე და სხვები, სულ 80 წევრი.

პრეზიდენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილება არ საჭიროებს მთავრობის თანხმობას. საკონსტიტუციო სასამართლომ აუცილებლად უნდა გამიჯნოს ერთმანეთისაგან კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი. აუცილებელია შეფასდეს დასახელებულ ნორმათა მიზანი და დანიშნულება კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგში. საქართველოს პრეზიდენტი მოქმედებდა მთავრობის მიერ გაცხადებული ევროინტეგრაციის კურსის მხარდასაჭერად. თავად შეხვედრის ფაქტი არ წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ განხორციელდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ან გაიმართა მოლაპარაკებები. დიპლომატიური პრაქტიკა მოიცავს აქტივობების ფართო სპექტრს და არ არის მხოლოდ მოლაპარაკება, ხელშეკრულების დადება, ან ოფიციალური ფორმატებით ურთიერთობა. დიპლომატიურ პრაქტიკაში უმნიშვნელოვანესია აზრთა გაცვლა. სახელმწიფოს მეთაურებს შორის კავშირის შენარჩუნება, ურთიერთობები და ეფექტიანი კომუნიკაცია სასიცოცხლო როლს ასრულებს ქვეყნის ინტერესების დაცვისა და ქვეყნებს შორის მეგობრული და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. მსგავსი მოქმედება აუცილებელია ურთიერთობაში ნდობის ფორმირების და ქვეყნის ინტერესების მხარდამჭერთა წრის გასაფართოვებლად.

### **3. სასამართლოს მიერ საკითხის შეფასების ნაკლოვანების არსებითი გარემოებები**

#### **3.1. კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურობის საკითხი**

სასამართლომ საფრთხის ქვეშ დააყენა იმპიჩმენტის საქმეზე კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურობა და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სრულიად მიანდო პარლამენტს. მიუხედავად იმისა, რომ იმპიჩმენტის არსი პოლიტიკურია,<sup>8</sup> სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს იმ პრინციპით, რომ მის მიერ თანამდებობის პირის ქმედება შეფასდება კონსტიტუციით გათვალისწინებული პრინციპებისა და ღირებულებების შესაბამისად და კონსტიტუციის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, კონსტიტუციური წესრიგის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, პარლამენტის პოლიტიკურ სუბიექტებს არ დარჩებათ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაადასტურონ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა. კერძოდ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: „ვინაიდან იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლების დადასტურების მიუხედავად, კონსტიტუციურად ისიც გამართლებულია, რომ იმპიჩმენტური ქმედების ჩამდენი პირი მაინც არ იქნეს თანამდებობიდან ჩამოშორებული, იმაზე მეტყველებს, რომ კონსტიტუციის გაგებით, ყველანაირი „კონსტიტუციის დარღვევა“ ან „დანაშაულის ნიშნების შემცველი“ ნებისმიერი ქმედება როდი ქმნის თანამდებობიდან ჩამოცილების რეალურ საჭიროებას და რომ ამ საჭიროების არსებობა თუ არარსებობა პარლამენტის წევრების მიერ უნდა შეფასდეს პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებით“.<sup>9</sup> ასევე, „ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა არ ავალდებულებს პარლამენტის წევრებს იმპიჩმენტურ ვერდიქტს დაუჭირონ მხარი. პოლიტიკური მიზანშეწონილობით საკითხის გადაწყვეტი-

<sup>8</sup> გოცირიძე ე., იმპიჩმენტის პოლიტიკური ბუნებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(44)15, 19.

<sup>9</sup> იქვე, II-21.

სას მათ უნდა იმოქმედონ იმპიჩმენტის იდეისათვის შესატყვისი პოლიტიკური კრიტიკიუმებით და ამის შესაბამისად მიიღონ გადაწყვეტილება<sup>10</sup>. როგორც ვხედავთ, ამგვარი განმარტებით საკონსტიტუციო სასამართლომ დააკნინა იმპიჩმენტის საკითხზე კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურობა.

### **3.2. კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური შინაარსის საკითხი**

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შინაარსი. ამასთან, სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია მისსავე პრაქტიკას, რომ კონსტიტუციური ტერმინებს აქვს ავტონომიური შინაარსი<sup>11</sup> და მათი განმარტება უნდა მოხდეს კონსტიტუციის მიზნების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იმპიჩმენტის მიზნების გათვალისწინებით. კერძოდ, სასამართლომ თავი შეიკავა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ტერმინების განმარტებისაგან და აღნიშნა, „იმპიჩმენტის საფუძვლებში – „კონსტიტუციის დარღვევასა“ ან „დანაშაულის ნიშნების არსებობაში“ – ნაგულისხმები უნდა იყოს ამ ცნებების ორდინარული გაგება... სასამართლოს აზრით, ამ ტერმინთა ავტონომიური განმარტება მაშინ იქნებოდა საჭირო და რელევანტური, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიტიური დასკვნა ავტომატურად რომ გულისხმობდეს შესაბამისი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენებას, ანდა პარლამენტის ვერდიქტზე რომ ახორციელებდეს შემდგომ კონსტიტუციურ კონტროლს“<sup>12</sup>.

### **3.3. სასამართლოს მიერ კონსტიტუციური ნორმების ფორმალური განმარტება და კონსტიტუციური ნორმების ნორმატიული შინაარსის ამოკითხვისაგან თავის შეკავების საკითხი**

#### **3.3.1. საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლი<sup>13</sup>**

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, სტატუსი და სტატუსთან დაკავშირებული უფლებამოსილება, საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი, ამავე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში<sup>14</sup>. სასამართლომ მიიჩნია, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებები სახელდებით უნდა იყოს მითითებული კონსტიტუციაში, მაშინ, როცა თვით კონსტიტუცია მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს (იხ. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი), რომელსაც არ მოიცავს კონსტიტუციის 52-ე მუხლი და ის, შესაძლოა, კონსტიტუცი-

<sup>10</sup> იქვე, II-78.

<sup>11</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნა, II-20.

<sup>13</sup> მუხლი 49. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი. 1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. 2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. 3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

<sup>14</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 49, პ.3.

ის სხვა მუხლებში იყოს ამოკითხული. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ თანამდებობის პირის ქმედების შინაარსი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ ინდივიდუალურ შემთხვევაში და კონსტიტუცია ვერ მოგვცემს ქმედებათა კონკრეტულ ჩამონათვალს. სასამართლომ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, მიიჩნია რომ თითქოს იარსებებდა ე.წ. „სახელისუფლებო თვითნებობის“ საფრთხე, რამაც სასამართლო საბოლოოდ არასწორ დაკენებამდე მიიყვანა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: „საკონსტიტუციო სასამართლო აზუსტებს, რომ ამგვარი კავშირი „პრეზიდენტის სტატუსსა“ და „პრეზიდენტის უფლებამოსილებებს“ შორის იმას როდი ნიშნავს, თითქოს პრეზიდენტის ესა თუ ის კონსტიტუციური სტატუსი რაიმე ისეთი უფლებამოსილების დამფუძნებლადაც ვიგუღვოთ, რაც კონსტიტუციით პირდაპირ და სახელდებით არ არის გათვალისწინებული როგორც პრეზიდენტის უფლებამოსილება, ექსკლუზიური ხასიათისა იქნება ის, სხვა კონსტიტუციურ ორგანოსთან/ორგანოებთან განანილებული თუ სრულიად სიმბოლური ხასიათის. კონსტიტუციური ორგანოების ოფიციალური უფლებამოსილებების სფეროში ნებისმიერი ბუნდოვანება, მათი უფლებამოსილებათა ფარგლების განუსაზღვრელობა ძირს გამოუთხრის ხელისუფლების დანაწილების სისტემის ეფექტიანობას და შექმნის სახელისუფლო თვითნებობის საფრთხეს. ამიტომ, პრინციპულად მიუღებელია, მხოლოდ 49-ე მუხლზე დაყრდნობით, პრეზიდენტის სტატუსის რომელიმე კომპონენტის ქვეშ, ვიგუღვოთ პრეზიდენტის ესა თუ ის უფლებამოსილება, რაც კონსტიტუციის ნორმებით სახელდებით არ არის განსაზღვრული“.<sup>15</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი მიდგომა არის მცდარი, რადგან კონსტიტუციის ასეთი ინტერპრეტაცია არ შეესაბამება კონსტიტუციით დადგენილ კონსტიტუციურ ნესრიგს, კონსტიტუციის ნორმებს აქცევს ფორმალურ მოთხოვნად და გამოაცლის შინაარსს. კონსტიტუციის ნორმები და კონსტიტუციური ინსტიტუტების სტატუსი და უფლებამოსილება უნდა განიმარტოს სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების, კონსტიტუციური ღირებულებების, ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კონსტიტუციური მოთხოვნის შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი, ანიჭებს სამართლებრივ მდგომარეობას, სამართლებრივი მდგომარეობა თავის მხრივ არის უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, განსაზღვრავს პრეზიდენტის ადგილს, მათ შორის, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, მოქმედებდა სწორედ კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად და საფუძველზე, დასახელებული ნორმის ნორმატიული შინაარსით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, სწორედ ამ ნორმის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგინებაში მოყვანილი ე.წ. კონსტიტუციის დარღვევის სამი საგარეო ვიზიტი, სასამართლოს უნდა შეეფასებინა როგორც საქართველოს პრეზიდენტის, სახელმწიფო მეთაურის სტატუსთან დაკავშირებული კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება.

### 3.3.2. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია არა საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ნორმატიულ შინაარსს, არამედ ეს ნორმა განმარტა ფორმალური თვალსაზრისით, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით და პრეზიდენტის

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნა, II-37.

ყველა ის ქმედება, რომელიც კონსტიტუციურ წარდინებაში იმპიჩმენტის საფუძვლად იყო მითითებული, მოაქცია 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შინაარსში. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ სახიფათო განმარტება გააკეთა და მიიჩნია, რომ ყველა სახის საგარეო ურთიერთობის განხორციელება პრეზიდენტს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით შეუძლია. სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ საქმეში უარყო მისივე პრაქტიკა, რომლის თანახმად, კონსტიტუციით გათვალისწინებულ ტერმინებს ავტონომიური მნიშვნელობა აქვთ, – ერთმანეთისაგან არ გამოიჯნა კონსტიტუციის 49-ე და 52-ე მუხლებით გათვალისწინებული შემდეგი ტერმინები: „წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“ და „მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში“. ამასთან, სასამართლომ მცდარად შეაფასა რა ფაქტები, მიიჩნია, რომ სადავოდ გამხდარი შეხვედრები იყო მოლაპარაკება კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის. სასამართლო ჰიპოთეტური საფრთხეების შიშით, იმის აღნიშვნით, რომ თითქოს შესაძლოა პრეზიდენტმა „შეარყოს მთავრობის კომპეტენცია საგარეო ურთიერთობებში“,<sup>16</sup> მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პრეზიდენტი არ შეიძლება მთავრობის თანხმობის გარეშე წარმოადგენდეს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში და რომ 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ტერმინები ერთი და იმავე ნორმატიული შინაარსის მატარებელია, რაც, ბუნებრივია, მცდარი შეფასებაა და კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ განმარტების დამკვიდრებას უწყობს ხელს. ამასთან, უნდა გავიხსენოთ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, როცა მან ერთ-ერთ საქმეზე<sup>17</sup>, კონსტიტუციის ორ სხვადასხვა მუხლში (31-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) მითითებული ერთი და იგივე ტერმინი („კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი“) სხვადასხვა შინაარსით განმარტა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ორ სხვადასხვა მუხლში მითითებული ერთი და იგივე ჩანაწერი, ნორმის მიზნის გათვალისწინებით, ავტონომიურ განმარტებას ექვემდებარებოდა. იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას კი, სასამართლო სრულად დაეთანხმა წარდგინების ავტორებს მოსაზრებებში, გაიზიარა მათი განმარტებები და აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ნაგულისხმები შეიძლება იყოს ნებისმიერი საუბარი, მოსაზრებების ურთიერთგაცვლა, დაპირებების მიცემა, ვალდებულებების აღება ან სხვაგვარი კომუნიკაცია, რომელიც ემსახურება სამართლებრივი ან პოლიტიკური შედეგის, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულების, მიღწევას და, თავისი არსით, წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, რომელზეც ექსკლუზიური უფლებამოსილება მთავრობას გააჩნია. სასამართლო აქვე აღნიშნავს შემდეგს: კიდევაც რომ გაიზიაროს „მოლაპარაკებების“ საკითხთან მიმართებაში პრეზიდენტის წარმომადგენელთა პოზიცია, პრეზიდენტის მხრიდან სამუშაო ვიზიტების განხორციელებით და ოფიციალურ პირებთან პროტოკოლური შეხვედრებით, ყველა შემთხვევაში არის სახეზე პრეზიდენტის მხრიდან საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის“.<sup>18</sup> როგორც ვხედავთ, სასამართლო იმაზე ფართოდ განმარტავს დასახელებულ ნორმას, ვიდრე ამას კონსტიტუცია ითვალისწინებს.

<sup>16</sup> იქვე, II-52.

<sup>17</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20-23.

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა, II-64.

### 3.3.3. ფაქტების დადგენის საკითხი სასამართლოს მიერ

სასამართლომ გაიზიარა წარდგინების ავტორთა პოზიცია, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე. მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სამივე სადავოდ ქცეული მოქმედება წარმოადგენდა მოლაპარაკებას კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ისე, რომ ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები წარდგინების ავტორებს არ წარმოუდგენია და არც სასამართლოს გამოუკვლევია. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის რესპუბლიკისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტებთან დასახელებული სამუშაო შეხვედრების დროს საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე განახორციელა საგარეო ურთიერთობებში საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის წარმომადგენლობა და სამივე შემთხვევაში აწარმოა მოლაპარაკებები უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტებთან საგარეო პოლიტიკურ საკითხზე – ევროპის კავშირში საქართველოს ინტეგრაციის საკითხზე – საქართველოს პრეზიდენტის რანგში და ფორმალური პროტოკოლის დაცვით.<sup>19</sup>

## 4. განსხვავებული აზრი

დასახელებულ დასკვნას ახლავს სამი მოსამართლის (საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისგან) განსხვავებული აზრი.<sup>20</sup> განსხვავებული აზრის ავტორების რაოდენობის გათვალისწინებით კარგად ჩანს, თუ რამდენად არასათანადოდ შეფასდა სასამართლოს მიერ (დასკვნა მიღებულია 6 მოსამართლის მიერ) იმპიჩმენტის სამართლებრივი მხარის მიზნები და დანიშნულება.

განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციური მანდატი, ასევე პრეზიდენტის მიერ საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე მთავრობის თანხმობის განმსაზღვრელი კონსტიტუციური დანაწესის არსი და მიზანი. ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუციით იმპიჩმენტის საფუძვლად მიჩნეული კონსტიტუციის დარღვევის ფაქტობრივად ფორმალურ, ნებისმიერი ხარისხის დარღვევამდე დაყვანით, დაკნინდა ამ პროცესში სასამართლო კონტროლის მნიშვნელობა.<sup>21</sup> მითითებულ საკითხებთან მიმართებით, განსხვავებულ აზრში წარმოდგენილია სამი მოსამართლის პოზიცია.

## 5. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა და მისი იურიდიული ბუნება

საკონსტიტუციო სასამართლომ დასკვნაში დაადასტურა პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა. დასკვნა გაეგზავნა პარლამენტს. 2023 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა საკითხის კენჭისყრისას არ გაითვალისწინა დასკვნა და არ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

<sup>19</sup> იქვე, II-65.

<sup>20</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით.

<sup>21</sup> იქვე, პ.2.



ვალდებულია თუ არა პრეზიდენტი შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს ის დასკვნა, რომელმაც ევროინტეგრაციის საკითხზე პრეზიდენტის სამ ევროპულ ვიზიტთან მიმართებით კონსტიტუციის დარღვევა კი დაადასტურა, თუმცა პარლამენტში კენჭისყრისას პოლიტიკურმა ორგანომ არ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის დადასტურების შესახებ ის დასკვნა, რომელსაც პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრისას მხარს არ დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არა ნაკლებ ორი მესამედი. როგორც წესი, გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა, მისი შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.<sup>22</sup> იმპიჩმენტის პროცედურაზე მიღებული სასამართლოს დასკვნა არ არის გადაწყვეტილება, ის არის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი აქტი და იმის მიხედვით, თუ რა შედეგი მოყვება პარლამენტში კენჭისყრისას, შესაძლოა, იყოს შესასრულებლად სავალდებულო ან საკონსულტაციო ხასიათის.<sup>23</sup> კონსტიტუციის დარღვევის დადასტურების შესახებ სასამართლოს დასკვნა შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი კენჭისყრისას მხარს დაუჭერს თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადასტურა, პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრისას დასკვნას მხარი არ დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის ორმა მესამედმა. კონსტიტუციის 48-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის გათვალისწინებით, აღნიშნულს შედეგად მოყვება ის, რომ შესაბამისი თანამდებობის პირი (საქართველოს პრეზიდენტი) არ არის თანამდებობიდან გადაყენებული და ჩვეულებრივ, კონსტიტუციით გათვალისწინებულ სამართლებრივ-ინსტიტუციურ წესრიგში აგრძელებს თავის თანამდებობრივ უფლებამოსილებას.

შესაბამისად, იმ მომენტიდან, როცა პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/1797. 16.10.2023წ. დასკვნამ მიიღო საკონსულტაციო ხასიათი, ის არის საკონსულტაციო დასკვნა დამას არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი.

საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა (№3/1/1797. 16.10.2023წ.) რომ საკონსულტაციოა და არა აქვს შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი, ამაზე თვით საკონსტიტუციო სასამართლოც მიუთითებს. მაგალითისთვის შეგვიძლია ვიხილოთ დასკვნის 78-ე პუნქტი, სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა არ ავალდებულებს პარლამენტის წევრებს იმპიჩმენტურ ვერდიქტს დაუჭირონ მხარი. პოლიტიკური მიზანშეწონილობით საკითხის გადაწყვეტისას მათ უნდა იმოქმედონ იმპიჩმენტის იდეისათვის შესატყვისი პოლიტიკური კრიტერიუმებით და ამის შესაბამისად მიიღონ გადაწყვეტილება.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასკვნაში ვერ გაცდება თავის უფლებამოსილებას და ვერ იმსჯელებს საგარეო ურთიერთობის იმ საკითხზე/ქმედებაზე, რომელიც იმპიჩმენტის აღძვრის

<sup>22</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>23</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თბ., 2011, 259-261.

საფუძველი არ გამხდარა. ის უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ იმ შემდგარ ქმედებათა (მოქმედება/უმოქმედობა) კონსტიტუციურობის შესახებ, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების თანახმად, იმპიჩმენტის პროცესის აღძვრის საფუძველი გახდა. შესაბამისად, დასკვნის საკონსულტაციო ხასიათის გათვალისწინებით, დასახელებული დასკვნა ვერ გახდება საქართველოს პრეზიდენტის დასჯის მექანიზმი სამომავლო ვიზიტების მიმართ. დასკვნა ვერ შექმნის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და ვერ მოემსახურება თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას.

## 6. დასკვნა

სტატიაში განხილულმა სასამართლოს არგუმენტებმა და მიდგომებმა, შესაძლოა ხელი შეუწყოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კონტროლის არაეფექტურობას, უარყოფითი გავლენა მოახდინოს სამართლის განვითარებასა და სასამართლოს პრაქტიკაზე. წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც კონსტიტუციური კონტროლის განვითარებისთვის, ასევე იმპიჩმენტის საკითხზე სასამართლოს სწორი პრაქტიკის დადგენისთვის.

### ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 31/01/1996.
3. გოცირიძე ე., იმპიჩმენტის პოლიტიკური ბუნებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(44)15, 19, 21, 78.
4. ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება იმპიჩმენტის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2/3 (45/46), 53.
5. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თბ., 2011, 259-261.
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე.
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/7/667 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ტელენეტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20-23.
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით.